ევროპის საბჭოს და ევროგაერთიანების სომხეთთან, აზერბაიჯანთან, საქართველოსთან, მოლდავეთის რესპუბლიკასთან, უკრაინასთან და ბელორუსიასთან პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო 2015-2020 წლების პერიოდისთვის

თანამშრომლობა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის ხელშეწყობის მიზნით

Programmatic Cooperation Framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe



ევროპის საბჭო და ევროგაერთიანება (EU) ცალკე ორგანიზაციები არიან, რომლებსაც ერთმანეთისგან განსხვავებული, მაგრამ იმავდროულად, ურთიერთშემავსებელი როლი გააჩნიათ.

ევროპის საბჭო 47 წევრ სახელმწიფოსთან ერთად ევროპის კონტინეტსა და მის ფარგლებს გარეთ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის გაძლიერების მიმართულებით მუშაობს.

ევროგაერთიანება მის 28 წევრ ქვეყანას ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ერთმანეთთან აახლოებს გარკვეულ სფეროებში კანონმდებლობისა და პრაქტიკის ჰარმონიზაციის გზით.

ევროგაერთიანება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივით გამოვიდა აღმოსავლეთ ევროპის მეზობელ ქვეყნებთან, კერძოდ, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, საქართველოსთან, ბელორუსიასთან, მოლდავეთის რესპუბლიკასთან და უკრაინასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების მიზნით.

ეს ორი ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ისეთ სფეროებში, სადაც მათი ინტერესები იკვეთება, კერძოდ კი ევროპასა და მეზობელ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის დამკვიდრების ხელშეწყობის სფეროებში.

ევროგაერთიანებასა და ევროპის საბჭოს შორის თანამშრომლობა ამ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს დამატებითი სარგებელი მიიღონ მეორე ორგანიზაციის ძლიერი შესაძლებლობებისგან, რომლებიც მას კონკრეტულ სფეროებში გააჩნია, და შესაბამისად, ეს ორგანიზაციები მხარს უჭერენ ერთმანეთის მუშაობას.

ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყანა

ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდავეთის რესპუბლიკა, მონაკო, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, სან-მარინო, სერბეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“, თურქეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო.

ევროგაერთიანების 28 წევრი ქვეყანა

ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსის რესპუბლიკა, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო.

რა არის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო (PCF)?

2014 წლის აპრილში ევროგაერთიანება (EU) და ევროპის საბჭო (CoE) განზრახვათა შესახებ ხელშეკრულებით შეთანხმდნენ, რომ ევროგაერთიანების აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ანუ სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდავეთის რესპუბლიკაში, უკრაინასა და ბელორუსიაში, მიზნობრივი თანამშრომლობის ფარგლებში დასახული აქტივობები „პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩოს“ (PCF) ფარგლებში განხორციელდებოდა.

თანამშრომლობის ჩარჩოს ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები გააძლიერებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობებს. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანა, გარდა ბელორუსიისა, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები არიან. ზემოთხსენებული თანამშრომლობის ჩარჩოს ფარგლებში დასახულია ეროვნულ დონეზე რეფორმების გატარების ხელშეწყობა ამ ქვეყნების ევროპის საბჭოსა და ევროგაერთიანების სტანდარტებთან დაახლოების მიზნით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ადამიანის უფლებები, დემოკრატია და სამართლის უზენაესობა.

რა პერიოდს მოიცავს PCF-ი?

PCF-ს 2014 წლის დეკემბერში მოეწერა ხელი, და იგი ორ ეტაპად განხორციელდება: 2015 2017 და 2018-2020. 2017 წელს PCF-ის განხორციელების მიმდინარეობის შუალედური შეფასება ჩატარდება, ხოლო საბოლოო შეფასება 2020 წელს არის დაგეგმილი.

რა დანახარჯებია დაკავშირებული PCF-თან?

პროგრამის განხორციელების I ეტაპთან (2015-2017) დაკავშირებული დანახარჯები 33.8 მილიონ ევროს შეადგენს. PCF-ის 90%-ს ევროგაერთიანება აფინანსებს, ხოლო 10%-ს კი ევროპის საბჭო. პროგრამას ევროპის საბჭო ანხორციელებს.

რისი განხორციელებაა დასახული PCF-ის ფარგლებში?

ევროგაერთიანებასთან ერთობლივად PCF-ის ფარგლებში თანამშრომლობის ხუთი პრიორიტეტული მიმართულება („თემები“) იქნა იდენტიფიცირებული. ამ ხუთი ძირითადი თემების ფარგლებში 15 ქვე-თემა იქნა იდენტიფიცირებული, რის საფუძველზეც 50 აქტივობა დაისახა ქვეყნებისა და რეგიონულ დონეზე.

I თემა: ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა

- ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული ევროპული სტანდარტების განხორციელების გაძლიერება რეგიონულ და ეროვნულ დონეზე
- ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა
- თანასწორობისა და ადამიანის ღირების დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა
- ადამიანის უფლებების სფეროში განათლებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის ხელშეწყობა

II თემა: მართლმსაჯულების უზრუნველყოფა

- მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის გაძლიერება
- საკონსტიტუციო მართლმსაჯულების გაძლიერება
- პენიტენციური სისტემის რეფორმირების ხელშეწყობა (სადამსჯელო მიდგომიდან რეაბილიტაციაზე ორიენტირებულ მიდგომებზე გადასვლა)

III თემა: სამართლის უზენაესობის დაკნინების თვალსაზრისით არსებული საფრთხეების აღმოფხვრა

- კორუფციასთან ბრძოლისა და კარგი მმართველობის დანერგვისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა
- კიბერდანაშაულთან დაკავშირებით შესაბამისი სისხლის სამართლის ზომების გატარების ხელშეწყობა

IV თემა: ინფორმაციული საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევა

- მედიის თავისუფლების, დამოუკიდებლობის, პლურალიზმის და მრავალფეროვნების ხელშეწყობა
- ინფორმაციული საზოგადოება და ინტერნეტის მმართველობა
- მონაცემთა დაცვის უფლების რეალიზაციის ხელშეწყობა

V თემა: დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობა

- დახმარების გაწევა საარჩევნო სფეროში: საარჩევნო კანონმდებლობისა და პრაქტიკის რეფორმირება
- ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციონალური ჩარჩოების გაძლიერება

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი და მინისტრთა კომიტეტი წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის სფეროებს განსაზღვრავენ, და ეს სფეროები ქვეყნების სამოქმედო გეგმებში აისახება.

ევროპის საბჭოს მულტი-ინსტიტუციონალური უპირატესობა გააჩნია და იგი მისი საპარლამენტო ასამბლეის და ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაციების კონგრესის მეშვეობით უზრუნველყოფს PCF-ის ფარგლებში სხვადასხვა ინსტიტუტებისა და მონაწილე მხარეების ჩართულობას ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყნებში.

PCF-ის ფარგლებში დასახული ყველა აქტივობები ისეთ საერთო-სექტორალურ საკითხებზე იქნებიან აქცენტირებული, როგორიცაა გენდერული მეინსტრიმინგი და უმცირესობათა უფლებების დაცვა, და უზრუნველყოფილი იქნება სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა PCF-ის განხორციელებაში.

როგორ მუშაობს PCF?

PCF-ის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, როგორც ქვეყნების, ასევე რეგიონულ დონეზე, შესაბამისი ქვეყნების მონაწილე მხარეებთან მჭიდრო კოორდინაციისა და კონსულტაციების გზით იქნა დაგეგმილი და ასახული ევროპის საბჭოს შესაბამისი ქვეყნების სამოქმედო გეგმებში. სამოქმედო გეგმები ევროპის საბჭოს მონიტორინგის ორგანოების მიერ ჩატარებული შესწავლისა და რეკომენდაციების საფუძველზე მზადდება და ეს გეგმები შესაბამისობაშია ქვეყნების რეფორმების ეროვნულ გეგმებთან.

PCF-ის ფარგლებში დაგეგმილია ინტენსიური და არსებითი საექსპერტო დახმარების გაწევა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის მათი ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერების, და ამ გზით ევროპის საბჭოს სტანდარტებთან მიახლოებაზე მიმართული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, დემოკრატია და სამართლის უზენაესობა. ეს სხვადასხვა ღონისძიებების გატარების გზით იქნება მიღწეული, კერძოდ: ჩატარდება კონფერენციები და სემინარები, შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, ხელი შეეწყობა ქსელების შექმნას, მომზადდება ანგარიშები და ტრენინგ სესიები ჩატარდება ევროპის საბჭოს პერსონალის ხელმძღვანელობითა და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.

ზემოთხსენებულ ღონისძიებებში გათვალისწინებულია ეროვნულ დონეზე არსებული ისეთი მონაწილე მხარეების ჩართვა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეფორმების განხორციელებაში. ესენია: პარლამენტები, ყველა დონის სახელმწიფო სტრუქტურები (იუსტიციის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები და სახელმწიფო ადმინისტრაცია), შესაბამისი სფეროს საჯარო ინსტიტუტები, მათ შორის ანტიკორუფციული ღონისძიებებისა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის საკითხებზე მომუშავე სტრუქტურები, პროკურატურა, სამართალდამცავი ორგანოები, პენიტენციური სისტემის ადმინისტრაცია, ცენტრალური და ადგილობრივი საარჩევნო კომისიები, ომბუდსმენის ინსტიტუტების წარმომადგენლები, სასამართლო სისტემის წარმომადგენლები და მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანოები, სამართლის სფეროს სპეციალისტები, მედია, ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და საზოგადოება.

©pbombaert/Shutterstock.com

ვინ არის პასუხისმგებელი PCF-ის კოორდინაციაზე?

ევროპის საბჭოს, ევროგაერთიანების, ევროპის საბჭოს ქვეყნებში არსებული წარმომადგენლობების, ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობებისა და PCF-ის ეროვნული კოორდინატორების მიერ განხორციელებული საქმიანობის კოორდინაციის მიზნით მუდმივმოქმედი საკოორდინაციო მექანიზმი შეიქმნება, რომელიც ხელს შეუწყობს ევროპის საბჭოს, ევროგაერთიანების, ეროვნულ დონეზე მონაწილე მხარეებისა და პარტნიორების, ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურ და თანმიმდევრულ კოორდინაციას.

ასეთი მექანიზმი უზრუნველყოფს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მიმდინარე და დაგეგმილი ეროვნული და რეგიონული პროგრამებისა და აქტივობების ეფექტურ და შეთანხმებულ განხორციელებას და ხელშესახები შედეგების მიღებას, რაც იმის გარანტია იქნება, რომ საბოლოო ბენეფიციარები და საზოგადოება PCF-ის ზეგავლენის შედეგად სარგებელს მიიღებენ.

შედეგები მდგრადი იქნება?

რეფორმების პროცესის გათავისება და გაძღოლა ეროვნული დონის პარტნიორების მიერ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა PCF-ის ფარგლებში დასახული შედეგების მიღებისა და მდგრადობის უზრუნველყოფისთვის. PCF-ის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მიმართულია ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოების დახვეწაზე, ეროვნული ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარებაზე, და პარტნიორებისა და ეროვნულ დონეზე მონაწილე მხარეების პროფესიული უნარების და ცოდნის ამაღლებაზე. მდგრადობა მიღწეული იქნება ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებისა და ეროვნული პერსონალის ტრენინგის გზით.

PCF წვლილს შეიტანს ეროვნულ დონეზე მონაწილე მხარეების ცოდნისა და შესაძლებლობების განვითარებაში, რათა მათ თავის მხრივ ხელი შეუწყონ ქვეყნებისა და რეგიონის დონეზე თავისი კოლეგებისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას PCF-ის დასრულების შემდეგაც.

სად შეიძლება უფრო დეტალური ინფორმაციის მოძიება?

- ევროპის საბჭოს და ევროგაერთიანების პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩოს ვებგვერდი:
  http://eap-pcf-eu.coe.int
- ევროპის საბჭო: ევროპის საბჭოს პროგრამების გენერალური დირექტორატის ვებგერდი:
  www.coe.int/en/web/programmes
- ევროგაერთიანების აღმოსავლეთ პარტნიორობის ვებგვერდი:
  www.eeas.europa.eu/eastern
- Facebook
  www.facebook.com/pages/CoE-EU-Eastern-Partnership-PCF
- Twitter
  https://twitter.com/CoeEapPCF
- საკონტაქტო:
  pcf@coe.int

PREMS 088315 – Photos: Council of Europe

KAT

The Council of Europe is the continent's leading human rights organisation. It comprises 47 member states, 28 of which are members of the European Union. All Council of Europe member states have signed up to the European Convention on Human Rights, a treaty designed to protect human rights, democracy and the rule of law. The European Court of Human Rights oversees the implementation of the Convention in the member states.

www.coe.int

The European Union is a unique economic and political partnership between 28 democratic European countries. Its aims are peace, prosperity and freedom for its 500 million citizens – in a fairer, safer world. To make things happen, EU countries set up bodies to run the EU and adopt its legislation. The main ones are the European Parliament (representing the people of Europe), the Council of the European Union (representing national governments) and the European Commission (representing the common EU interest).

http://europa.eu

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe